ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5082111

ნომერი: AR1766358

თარიღი : 06.08.2020

გაცემის თარიღი : 27.08.2020

გაცნობის თარიღი : 04.09.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქეთევან წამებული , N 57;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი გოხელაშვილი პ/ნ 59004001068
- გოთუა ქ #12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 აგვისტოს №5050058 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 06 აგვისტოს №AR1766358 განცხადებით მომართა დიმიტრი გოხელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020

წლის 03 აგვისტოს №5050058 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 10 თებერვლის №4855196 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირი №57-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.17.13.041.018), მრავალფუნქციური (საცხოვრებელი - სასტუმრო) კომპლექსის/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. ხოლო სამსახურის 2020 წლის 03 აგვისტოს №5050058 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 03 აგვისტოდან 2023 წლის 03 მაისის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2020 წლის 03 აგვისტოს №5050058 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ: “მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 03 აგვისტოდან 2023 წლის 03 მაისის ჩათვლით’’ ნაცვლად დაფიქსირდა “მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 03 აგვისტოდან 2021 წლის 03 აგვისტოს ჩათვლით’’.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 22 ივლისის №AR1762145 განცხადებაზე წარმოდგენილ იქნა მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 33 თვეზე და 2020 წლის 03 აგვისტოს №5050058 ბრძანებით მშენებლობის ვადა უნდა განსაზღვრულიყო 2023 წლის 03 მაისის ჩათვლით, თუმცა ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის შედეგად მშენებლობის ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2020 წლის 03 აგვისტოს №5050058 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 აგვისტოს №5050058 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 03 აგვისტოდან 2023 წლის 03 მაისის ჩათვლით’’.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 აგვისტოს №5050058 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 03 აგვისტოს №5050058 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.